დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ „ხის მხატვრული დამუშავების“, „ჰაერის კონდიცირებისა“ და „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

თამარ გიორგობიანი

წევრები:

მამუკა ხოშტარია

დავით კუპატაძე

ცოტნე ქორჩილავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ახალი ტალღა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

მონიტორინგი ავტორიზაციის საბჭოს საფუძველზე

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**
ხის მხატვრული დამუშავება	30	31	0
ჰაერის კონდიცირება	30	30	0
ვებტექნოლოგიები	30	0	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 11.01.23, N13613 (ცვლილება ბრძანებაში 13.01.23, N22267) ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. თამარ გიორგობიანი - თავმჯდომარე;
2. მამუკა ხოშტარია - წევრი;
3. დავით კუპატაძე - წევრი;
4. ცოტნე ქორჩილავა-წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ **„ხის მხატვრული დამუშავების“, „ჰაერის კონდიცირებისა“ და „ვებტექნოლოგიების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.
აღნიშნული მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა 2023 წლის 20 იანვარს კოლეჯში „ახალი ტალღა“ (მისამართი: ქობულეთი, რუსთაველის ქ. N154) განახორციელა ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით და შეადგინა მონიტორინგის ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. კოლეჯში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ საქმიან და კოლეგიალურ ატმოსფეროში. ვიზიტის დღეს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, **„ხის მხატვრული დამუშავების“, „ჰაერის კონდიცირებისა“ და „ვებტექნოლოგიების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, მოდულების განმახორციელებელ პირებსა და ბიბლიოთეკარს. შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური და საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსი, ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის განმავლობაში გამოკვეთილი გარემოებები და მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულება აქტიურად არის ჩართული როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. ერთ-ერთი ასეთი პროექტი, რომელიც განხორციელდა კოლეჯში, იყო USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომელიც საქართველოში "ქემონიქს ინტერნეიშენელის" ფარგლებში განხორციელდა. პროექტის მიზანი იყო ადგილობრივი სუბიექტების კვალიფიკაციის, პროდუქტიულობის და ბიზნეს კავშირების გაძლიერება მოწყვლადი ოჯახებიდან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებამდე. გარდა ამისა, კოლეჯის პარტნიორი ესტონეთის ქალაქ ვალგას სახელმწიფო პროფესიული სასწავლო ცენტრის მოწვევის საფუძველზე, სსიპ კოლეჯის "ახალი ტალღა" კულინარიის ხელოვნების სტუდენტები და პროფესიული მასწავლებლები იმყოფებოდნენ ვიზიტით ზემოთ აღნიშნულ სასწავლებელში, სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის მიღების მიზნით, ქართულმა დელეგაციამ ასევე მონაწილეობა მიიღო ქალაქ პიარნუში გამართულ გრილ ფესტივალზე, სადაც დაჯილდოვდნენ ნომინაციაში "ქართული კულინარიის წარდგენა“.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

2022 წლის 4,5,6 მაისს კოლეჯში ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების ფარგლებში ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ხის მხატვრული დამუშავება“**

2.2.1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდებულია, პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირთა დამატებით მოძიება და ხელშეკრულების გაფორმება, პროგრამის უფრო მეტად მდგრადობის უზრუნველსაყოფად - **რეკომენდაცია შესრულდა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ჰაერის კონდიცირება“**

2.1.1.3 გადაიხედოს და გასწორდეს კოლეჯის „სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება“ (ჩანაწერი - „ჰაერის კონდიცირება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ A - გარემო და C - გარემო), რადგან პროგრამა ითვალისწინება B - გარემოსაც - მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება 1“ განხორციელებისათვის - **რეკომენდაცია შესრულდა.**

2.4.1.6 **„ჰაერის კონდიცირების“** საგანმანათლებლო პროგრამის C გარემოში გამოიკრას ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები - **რეკომენდაცია შესრულდა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ვებტექნოლოგიები“**

2.2.1.1 საგანმანათლებლო პროგრამისთვის განახლდეს კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ვებტექნოლოგიების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სარეკომენდაციო მოთხოვნებთან - **რეკომენდაცია შესრულდა.**

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IX . სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ხის მხატვრული დამუშავება“**

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, *თუმცა, რეკომენდებულია, ყველა ჩარხთან იყოს ორი ტიპის ფირნიში: ერთი, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ამ ჩარხზე მუშაობა და მეორე, რა დამცავი საშუალებები უნდა გამოიყენოს სტუდენტმა ამ ჩარხზე მუშაობის დროს.*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ვებტექნოლოგიები“**

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, *თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია პროგრამის არჩევითი მოდულის, „ვებგვერდისთვის ფოტომასალის შექმნა“ განხორციელებისთვის საჭირო რესურსების (ფოტოაპარატი, ფონების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, განათების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, შტატივები) შეძენის შესახებ, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის არჩევითი მოდულების გარეშე განხორციელების თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პრგორამაში შეიტანა ცვლილება, რაც გულისხმობს პროგრამიდან არჩევითი მოდულების ამოღებას, რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაასწოროს ტექნიკური უზუსტობა და საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის ძირითადი დოკუმენტიდან ამოიღოს არჩევითი მოდულების სწავლის შედეგები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება: 15.11.2017, N 01-04/166 ბოლო ცვლილება: 28.10.2022, N01-04/205
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ. N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შეფასება)	შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ მფლობელობაშია ქობულეთში, რუსთაველის N 154-ში 9433 მ2 ფართობზე შენობა-ნაგებობები, რომელთა ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. **„ხის მხატვრული დამუშავების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (პრგორამის ფარგლებში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 30 ადგილი ორ ცვლაში (15 ადგილი ერთ ცვლაში). დაწესებულების მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **„ხის მხატვრული დამუშავების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადოდ აღჭურვილ **A, B** და **C გარემოში**. **C გარემოში** გამოყოფილია ორი სივრცე, სადაც ერთ-ერთში განთავსებულია პოზიციური ჩარხები, ხოლო მეორეში - ტარდება ხის ხელით ჭრის მეცადინეობები. ყველა ჩარხი აღჭურვილია იმ დამცავი საშუალებებით, რომელიც მას ქარხანამ დამზადების დროს გაუკეთა, გაკეთებულია დამიწება, ჩარხებთან გამოკრულია შრომის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული ფირნიშები და აბრები, თუმცა, ზოგიერთ აბრაზე განთავსებული ტექსტი ზოგადი ხასიათისაა და არ მოიცავს პროგრამასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ნორმებს.
დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „რანდი“) გაფორმებული ხელშეკრულება (#01-42/08, 05.05.2022 წ.), რომელმაც საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს 30 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკული კომპონენტის (9 პროფესიული მოდულის) განხორციელება, ხელშეკრულებას თან ახლავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი. ხელშეკრულება ძალაშია 2028 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კოლეჯის **C გარემო** სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, *<u>თუმცა, რეკომენდებულია, ყველა ჩარხთან იყოს ორი ტიპის ფირნიში: ერთი, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ამ ჩარხზე მუშაობა და მეორე, რა დამცავი საშუალებები უნდა გამოიყენოს სტუდენტმა ამ ჩარხზე მუშაობის დროს.</u>*

2.2.1.2 პროგრამისთვის **„ხის მხატვრული დამუშავება“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 4 პირი პროფესიული მოდულებს, ხოლო 23 ზოგად მოდულს უძღვება. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია შრომის კოდექსით დადგენილი არსებითი პირობები. ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, და დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„ხის მხატვრული დამუშავება“** განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/ პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4. **„ხის მხატვრული დამუშავების“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული იქნა მისი პირადი საქმე, რითაც დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ცვლილებების შეტანის პროცესში, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეფასების ინსტრუმენტების და კალენდარული გეგმების შემუშავებაში, პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების ადაპტირებისა და მათი სტანდარტებთან შესაბამისობაზე, კონსულტაციას უწევს სტუდენტებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1.5. **„ხის მხატვრული დამუშავების“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული წიგნები და სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სარგებლობა. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა კოლეჯში. ამ ეტაპზე პროგრამაზე ასეთი პირები არ ირიცხებიან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

2.2.1.7. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ხის მხატვრული დამუშავება“** შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილს (შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეული, გაუთვალისწინებელი ხარჯი და სხვა). ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 10 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის ფარგლებში სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ვაუჩერული წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 15 ნოემბრის N01-04/166 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით **„ხის მხატვრული დამუშავება“**;
2. კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით;
3. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
4. პროგრამის ბიუჯეტით;
5. პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანებით;
6. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსებით;
7. ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ჰაერის კონდიცირება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ჰაერის კონდიცირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება: 01.02.2018, N N 01-04/10 ბოლო ცვლილება: 28.10.2022, N01-04/205
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ. N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

7. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
8. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
9. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
10. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
11. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
12. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ მფლობელობაშია ქობულეთში, რუსთაველის N 154-ში 9433 მ2 ფართობზე შენობა-ნაგებობები, რომელთა ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. **„ჰაერის კონდიცირების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (პრგორამის ფარგლებში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 30 ადგილი ორ ცვლაში (15 ადგილი ერთ ცვლაში). დაწესებულების მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **„ჰაერის კონდიცირების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული 11 მოდულიდან, მხოლოდ 6 მოდული („სპლიტ“ სისტემის ჰაერის კონდიციონერის სამუშაოები“, „პირდაპირი და არაპირდაპირი ჰაერის კონდიცირების სისტემების სამუშაოები“, „ვარიაციული გაგრილების ჰაერის კონდიცირების სისტემების სამუშაოები“, „ვენტილაციის მექანიკური სისტემების სამუშაოები“, „ვენტილაციის ელექტრული სისტემების სამუშაოები“, „გაცივების სისტემების სამუშაოები“) ხორციელდება **A** და **C გარემოში** ერთად.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული, თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ ფართებში, ასევე, პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. დაწესებულების **AB ტიპის გარემო** განთავსებულია III კორპუსის მეორე სართულზე (ქობულეთი რუსთაველის ქ. 154) 32,4 კვ. მ ფართში, რომელიც გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი 15 მაგიდა და სკამი, 15 კომპიუტერი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი კომპიუტერით, დაფა და სხვა.

C გარემო განთავსებულია III კორპუსის პირველი სართულის 45,4 კვ. მ ფართში, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით გათვალისწინებული (სასწავლო ფართი არანაკლებ 3 $მ^2$-ისა ერთ სტუდენტზე) მოთხოვნებით 15 პროფესიული სტუდენტის განთავსებას, გამოკრულია უსაფრთხოების სპეციფიკური ზომებისთვის აუცილებელი ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები. არსებობს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის მოქმედი ჟურნალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „თერმორუმი“) გაფორმებული ხელშეკრულება (#01-42/37, 03.11.2021 წ.), რომელმაც საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს 30 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, ხელშეკრულებას თან ახლავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი. ხელშეკრულება ძალაშია 2028 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა პროგრამის ფარგლებში სრულად უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, მოდულების განხორციელების ადგილადაც კოლეჯის მისამართია მითითებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.2.1.2 პროგრამისთვის **„ჰაერის კონდიცირება“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 (ექვსი) + 1 (ერთი) ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში - 2 (ორი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია შრომის კოდექსით დადგენილი არსებითი პირობები. ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, და დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„ჰაერის კონდიცირება“** განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/ პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4. **„ჰაერის კონდიცირების“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული იქნა მისი პირადი საქმე, რითაც დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ცვლილებების შეტანის პროცესში, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეფასების ინსტრუმენტების და კალენდარული გეგმების შემუშავებაში, პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების ადაპტირებისა და მათი სტანდარტებთან შესაბამისობაზე, კონსულტაციას უწევს სტუდენტებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1.5. **„ჰაერის კონდიცირების“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული წიგნები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სარგებლობა. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა კოლეჯში. ამ ეტაპზე პროგრამაზე ასეთი პირები არ ირიცხებიან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

2.2.1.7. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ჰაერის კონდიცირება“** შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილს (შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეული, გაუთვალისწინებელი ხარჯი და სხვა). ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 12 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის ფარგლებში სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ვაუჩერული წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 01 თებერვლის N01-04/10 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით **„ჰაერის კონდიცირება“;**
2. კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაცია შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით;
3. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
4. პროგრამის ბიუჯეტით;
5. პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანებით;
6. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსებით;
7. ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება: 23.02.2022, N01-04/38 ბოლო ცვლილება: 28.10.2022, N01-04/205
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ. N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შეფასება)	შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

13. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
14. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
15. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

16. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
17. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
18. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1 სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ მფლობელობაშია ქობულეთში, რუსთაველის N 154-ში 9433 მ2 ფართობზე შენობა-ნაგებობები, რომელთა ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. **„ვებტექნოლოგიების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 30 ადგილი ორ ცვლაში (მათ შორის 15 ადგილი ინტეგრირებული მიდგომით სწავლებისათვის). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი შესაბამისი გარემო ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომით სწავლებისათვის: აუდიტორია, რომელშიც განთავსებულია: 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, პრინტერი, პროექტორი, დაფა, და კარადა. აუდიტორიაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა სრულად შეესაბამება ჩარჩოდოკუმენტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო მოთხოვნებს (კომპიუტერის ეკრანის ზომები, მონიტორი, ასევე აუდიტორიაში განთავსებული ლეპტოპების მონაცემები.
პროგრამის ფარგლებში კოლეჯს აქვს ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები‘‘, სადაც განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის, პროექტორი, დაფა, კარადა, და შესაბამისი აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულისათვის. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ამწოვი კარადა და წყლის ნიჟარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნდა აღინიშნოს, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯს მისცა რეკომენდაცია პროგრამის არჩევითი მოდულის, „ვებგვერდისთვის პოტომასალის შექმნა“ განხორციელებისთვის, შეეძინა საჭირო რესურსები (ფოტოაპარატი, ფონების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, განათების ნაკრები ფოტოსტუდიისთვის, და შტატივები). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის პაკეტითა და კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და დაწესებულებას აქვს აღნიშნული მოდულისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, კოლეჯმა საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანა ცვლილება და პროგრამას არჩევითი მოდულის გარეშე განახორციელებს, თუმცა, **„ვებტექნოლოგიების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის ძირითად დოკუმენტში ფიქსირდება ტექნიკური უზუსტობა აღნიშნული არჩევითი მოდულის სწავლის შედეგების სახით.
დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „თეგი“) გაფორმებული ხელშეკრულება #01-42/01, 02.02.2022წ., რომელმაც საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს 30 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება, ხელშეკრულებას თან ახლავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი. ხელშეკრულება ძალაშია 2028 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა პროგრამის ფარგლებში სრულად უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, მოდულების განხორციელების ადგილადაც კოლეჯის მისამართია მითითებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, *<u>თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პრგორამაში შეიტანა ცვლილება, რაც გულისხმობს პროგრამიდან არჩევითი მოდულების ამოღებას, რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაასწოროს ტექნიკური უზუსტობა და საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის ძირითადი დოკმენტიდან ამოიღოს არჩევითი მოდულების სწავლის შედეგები.</u>*

2.2.1.2 პროგრამისთვის **„ვებტექნოლოგიები“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში - 2 (ორი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია შრომის კოდექსით დადგენილი არსებითი პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, და დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„ვებტექნოლოგიები**" განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა განმახორციელებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაცია. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/ პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4. **„ვებტექნოლოგიების"** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული იქნა მისი პირადი საქმე, რითაც დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ცვლილებების შეტანის პროცესში, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეფასების ინსტრუმენტების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კალენდარული გეგმების შემუშავებაში, პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების ადაპტირებისა და მათი სტანდარტებთან შესაბამისობაზე, კონსულტაციას უწევს სტუდენტებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1.5. **„ვებტექნოლოგიების“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული წიგნები და სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სარგებლობა. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა კოლეჯში. ამ ეტაპზე პროგრამაზე ასეთი პირები არ ირიცხებიან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

2.2.1.7. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„ვებტექნოლოგიები“** შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილს (შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეული, გაუთვალისწინებელი ხარჯი და სხვა). ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 10 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის ფარგლებში სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ვაუჩერული წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 23 თებერვლის N01-04/38 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით **„ვებტექნოლოგიები“**;
2. კოლეჯსა პარტნიორ ორგანიზაცია შორის გაფორმებული ხელშეკრულებით;
3. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
4. პროგრამის ბიუჯეტით;
5. პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანებით;
6. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსებითა და შესყიდვის დოკუმენტაციით;
7. ინტერვიუს შედეგებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი თან ერთვის დასკვნის პროექტს.

01.02.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: